საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 48

2018 წ. "04" 04

ქ. თბილისი

„სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 14 მარტის №39 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 14 მარტის №39 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით განუყოფელ ნაწილად მიჩნეულ 2018 წლის 14 მარტის № 13 ოქმის პირველ ნაწილში პროგრამის მოკლე აღწერის ცხრილი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ახალი და უახლესი ისტორია
განათლების საფეხური	სადოქოტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ისტორიის დოქტორი - 1004
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 4 აპრილის №16 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უნივერსიტეტის 2018 წლის 2 აპრილის წერილი №367945 ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ირაკლი ბურდული

მდივანი
ლევან გორდეზიანი